№ 66
მარტის 22, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 66
მარტის 22, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ივლიტა დიმიტრის ასული, ელისაბედ ლაზარეს ასული ზენაშვილები, თებრონია იოსების ასული ხელაშვილისა, დავით დიმიტრის ძე ხელაშვილი და დები და ძმები განსვენებულისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თრმოცის წირვისა და პანაშვიდის გადახდას პირველი საყვარელი მეუღლისა, მეორე საყვარელი შვილისას, მესამე და მეოთხე სიძისა და მეხუთენი ძვირფასის ძმისას წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის მასწავლებლად ყოფილის

ალექსანდრე მიხეილის ძის ზენაშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში, სადაც დაკრძალულია განსვენებულის გვამი და სადაც გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი სამშაბათს, მარტის 25 დილის 10 საათზე (1—69—1)

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის მახლობლად

საუკეთესო სააგარაკო ადგილები,

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია ოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსოსაჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟენიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია, იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა. თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—14)

ს.-პეტერბურგსი კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარობს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მესახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საცვლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზომახარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (ციმბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიოს საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108. (120—ნ.—98).

№ 44—6 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 23 მარტს,

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

კონსტანტინე გატონიშვილი

(ქეთევან წამებული)

ისტ. დრამა 5 მოქ. ალექ. ყაზბეგისა.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

№ 45—7

სამშაბათს, 25 მარტს,

ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

პირველად

I

მედეია

დრამა 4 მოქ. სუვორინისა და ბურენინისა. თარგ. დ. მესხისა.

II

ქლიავი

ვოდ. ერთ მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი, ბნ-ნი ვ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, იორდანიშვილი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად ნაადგომევისათვის „იანიჩარი“, „ოტელო“, „ჩატეხილი ხიდი“ და „ორი ობოლი“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ჭიათურის საურთიერთო ბანკი ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 **მარტს**, დილის 10 საათზედ, ჭიათურის სახალხო თეატრის დარბაზში, დანიშნულია **საზოგადო ჩვეულებრივი კრება წევრთა:**

განსახილველი საგნები.

1) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვა.
3) 1903 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4) შეცვლა წესდების ზოგიერთ §§-თა.
5) არჩევანი საბჭოს ოთხის წევრისა, ნაცვლად თ. თ. ბ. წერეთლისა, დ. ლიონიძისა, ბ.ბ. ჯ. იაშვილისა, ნ. წერეთლისა, გამგეობის ერთი წევრისა თ. კ. პ. თუმანიშვილისა და სარევიზო კომისიის წევრთა, რომელთაც სამსახურის ვადა გაუვიდათ. (3—ნ—3)

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.

შაბათს, 22 მარტს, გალობის მოყვარულთა გუნდის მიერ, **პოლ. პეტრ. ფალიაშვილის** ლოტბარობით, გამართული იქნება

კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბაბაიანი, აიზენშტატი. ბ-ნნი ბროჯი, ვილშაუ და აგასოვი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

(2—უ.—2).

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

შაბათს, 22 მარტს, დანიშნულია დიდი წარმოდგენა. სხვათა შორის, იქნება ორი რუსულ-შვეიცარიული და კავკასიური ჭიდაობა. 1-ლი, დაუძლეველი მოჭიდავე—**ჰერკულესი მოღრი** იჭიდავებს გამოჩენილ მოჭიდავე რაზუმოვთან. ჯილდოდ არის დანიშნულია 100 მ. ე. ი. მოორი და რაზუმოვი თავად ნიშნავენ ხუთ-ხუთ თუმანს. 2, დავით შუჯიაშვილი იჭიდავებს სიღნაღელ მოჭიდავე გიგა ნიკოლაძესთან. ამათთვის ჯილდოდ დანიშნულია 25 მან.

კავკასიური
ჭიდაობა

მონაწილეობს 5 სპილო.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნახარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი, 22 მარტი.

„ცნობის ფურცლის“ ლაღადმა «ძმობისა და ერთობის» შესახებ თავისი ნაყოფი გამოიღო. მას ახლა სომეხთ გაზეთებიც ბანს აძლევენ და ასეთს „ძმობასა და ერთობას“ გვიქადაგებენ, რომ, ვგონებ, თვით „ცნობის-ფურცელსაც“ არაფრად ესიამოვნოს ასეთი „ძმობა და ერთობა“.

რასაკვირველია, ეს ასეც უნდა მომხდარიყო. კარგად ვიცით, რომ სომეხთ ბურჟუაზიას „ძმობად» „ერთობად“, „სიმართლედ“ მხოლოდ ის მიაჩნია, რაც მისი ხელ-საყრელია; ყოველივე სხვა, მისის ფიქრით, დასაგმობია.

აი, სწორედ ამგვარ „ძმობას“ გვახვევენ თავზე სომეხთ გაზეთები.

13 მარტის „Новое Обозрѣніе“-ში ბ. ხატისოვი ჰკიცხავს ილია ჭავჭავაძის წერილს: „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. რატომ? მიტომ, რომ ამ წერილში ილია ჭავჭავაძემ ცხად-ჰყო, რომ არ მოიპოება ისეთი სომეხთ-მეცნიერი, რომ ქართველთა ერი ავად არ ეხსენებია. დედა-აზრი ამ წერილისა მხოლოდ ეს არი. თუ ხატისოვს „ძმობა“ სწამს, იგი თვით თავის მეცნიერების წინააღმდეგ უნდა აღმხედრდეს და უნდა დაარწმუნოს იგინი, რომ ქართველთა ლანძვა-გინება ვერ შეიქმს ძმობას ქართველთა და სომეხთა შორის. ვინ უფრო დამნაშავეა: სომეხთ მწერლები, რომელნიც საქვეყნოდ აგინებენ ქართველებს, თუ ილია ჭავჭავაძე, რომელსაც სხვა არა დაუშავებიარა მის მეტი, რომ ჰკიცხავს ხსენებულ მწერლებს უსაბუთოდ ჩვენის ერის ლანძღვა-თრევისათვის?! ყოველი პირუთვნელი მკითხველი დამეთანხმება, რომ ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში არა თუ დამნაშავეა, მადლობის ღირსიც არის ყველა იმათგან, რომელთაცა სურთ მართლაც „ძმობისა და ერთობის“ განმტკიცება. „ნუ გვლანძღავთ, ნუ გვაგინებთ ტყვილაუბრალოდ“, ეუბნება ილია ჭავჭავაძე სომეხთ მწერლებს.

არაო, ამბობს „Новое Обозрѣніе" ხატისოვის პირით: რამდენიც უნდა გლანძღონ ჩვენმა მწერლებმა, ქართველები ხმას ნუ ამოიღებთ, ნურც გეწყინებათო.

ახლა ვკითხოთ „ცნობის ფურცელს", ძმობას ქადაგებს „Новое Обозрѣніе", თუ ბატონ-ყმობას? ამის პასუხი ადვილია, ვინც განგებ არ დაიბრმავებს თვალებს. დიაღ, „ცნობის ფურცელი" მოვალეა თავისი გადაჭრილი პასუხი სთქვას ამ საკითხის შესახებ, მას შემდეგ, რაც ხატისოვმა მას ქათინაური უძღვნა და „ქვათა ღაღადთან" ბრძოლაში დახმარება სთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან თვით „ცნობის-ფურცელიც" თანახმაა ხატისოვისა ან და ლიტერატურული გამბედაობა აკლია, რომ თავისი რწმენა საქვეყნოდ აღიაროს.

„ნორდარის" აზრი-კი „ძმობისა და ერთობის" შესახებ უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა. ეს გაზეთი აშკარად და უსირცხვილოდ გვიქადაგებს, რომ სომხები დიდ სიკეთეს გვანიჭებენ მით, რომ ჩვენვე მათ ვემსახურებით. ამას იქით ლიტერატურული თავ-ხედობა ველარ წავა. თავის თავად ცხადია ზნეობრივი სიმდაბლე ამ უცნაურ მოძღვრებისა, რომლის მსგავსსაც-კი ვერსად შეხვდებით.

უკეთეს არც არაფერს „მშაკი" გვეუბნება ამ მრავალ ტანჯულ და წამებულ „ძმობის" შესახებ. წაიკითხეთ დღევანდელი კორესპონდენცია ჩვენს გაზეთში განჯიდგან და დარწმუნდებით, ხსენებული გაზეთი საყვედურს გვიცხადებს, რომ სომეხთ „საღამოებზე" არ დავიარებით მაშინ, როდესაც იგნი ჩვენს „საღამოებზე" დაიარებიან. ახირებული საყვედური თუ გნებავთ, ეს არი. თუ იგინი ჩვენს „საღამოებზე" დაიარებიან, ჯილდოდ ის სიამოვნებაც ეყოფათ, რომელსაც ამ „საღამოებზე" ჰპოვებენ. როგორცა სჩანს, მათთვის ეს არ კმარა და ამას გარდა სხვა ჯილდოც უნდათ დაგვაკისრონ, ე. ი. სურთ ვალად დაგვადვან, გვინდა თუ არა, მათს „საღამოებზე" ვიაროთ, ერთის სიტყვით, სარგებელზე კიდევ სარგებელი აიღონ.

აი, რაგვარ „ძმობასა და ერთობას" გვიქადაგებენ სომხური გაზეთები.

სჩანს საყოველთაო კანონი ზნეობისა მათ უკუღმა ესმისთ.

ჩვენ-კი ღმერთმა გვაშოროს ის უცნაური და უზნეო მოძღვრება, რომელიც სომხურ გაზეთებს „ძმობისა და ერთობის" სახელით უნდათ თავზე მოგვახვიონ.

ტფილისი

◆ 22 მარტისათვის დანიშნული კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა გადაიდო 24 მარტისათვის.

◆ მოკლე ხანში ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი შესტაკოვი ქალაქის საბჭოში შეიტანს განცხადებას ქალაქის თავის ახალ მოადგილის არჩევნის დღის დანიშვნის შესახებ.

◆ საგუბერნიო მმართველობამ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც არჩეულ იქმნა კომისია ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად. კომისია ამ დღეებში დაიწყებს ქუჩების მოკირწყვლას.

◆ გუშინ-წინ, 20 მარტს, ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაახლოვებით შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ქრისტიანიაში ჰენრიკ იბსენისა: „თქვენის დაბადებიდგან 75 წლის იუბილეის შესრულების გამო, რომელიც ევროპის ყველა განათლებულმა ერმა იდღესასწაულა, ტფილისის ქართულს თეატრში გაიმართა წარმოდგენა აპოთეოზით. წარმოდგენილ იქმნა „ნორა". გისურვებთ თქვენის მოღვაწეობის კიდევ დიდხანს განგრძობას. ტფილისის ქართული თეატრის კომიტეტი". დეპეშა ფრანგულად იყო დაწერილი.

◆ 16 მარტს ტფილისის მედროგეთა კრებამ თავის მამასახლისად აირჩია ნაზაროვი. ახლა მედროგეთ კოლლექტიური თხოვნა მისცეს ქალაქის თავის მოადგილეს ბ-ნ შესტაკოვს, 16 მარტის კრება კანონიერი არ იყო და ამიტომ ახალი არჩევანი დანიშნეთ მამასახლისის ასარჩევადაო.

◆ სახალხო იაფ ფასიან წარმოდგენების გამმართველი საზოგადოება ამ ჟამად იმის ცდაშია, რომ მოხერხებული ადგილი იშოვოს სახალხო თეატრის ასაშენებლად. ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრი, როგორც ვიცით, სივიწროვისა გამო ვერ აკმაყოფილებს წარმოდგენაზედ დასწრების ყოველს მსურველს.

◆ გუშინ, 21 მარტს, ტფილისის საგუბერნიო ექიმი ბ-ნი ქაქოძე, სამსახურის საქმეთა გამო, მარტყოფში წავიდა.

◆ ექიმმა ქალმა ქ-ნმა კონდრატიევისამ ამ დღეებში ქალაქის თავის მოადგილეს სთხოვა, ქალაქის უმთავრეს საავადმყოფოში ბევრი უმწეო ავადმყოფი მოდის და ამიტომ ნება მოგვეცით, მუქთად დავაწვინოთ საავადმყოფოშიო.. ამ თხოვნას გამგეობა ჩქარა განიხილავს.

◆ ქალაქის თავად ახლად არჩეული თ-დი ნ. ვ. არღუთინსკი, ხუთის დღის შემდეგ, შეუდგება თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ შულავერიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს: ბორჩალოს მაზრის გლეხთა მდგომარეობა სწორედ სატირალიაო. აქ გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელმაც დიდძალი საქონელი იმსხვერპლა; თავის დროზედ მოვიდნენ ბეითლები და სოფლელთ ურჩიეს, საქონელს უთუოდ აუცრეთ, ამას გარდა, უნდა დაჰკლათ ყველა ის საქონელი, რომელსაც ოდნავ შეეპარება ავადმყოფობაო. სოფლელთ უარი განაცხადეს და ბეითალნი იძულებულნი იყვნენ პოლიციის დახმარებით დაეხოცათ საქონელიო. ამ ჟამად ჭირი შემცირებულა.

◆ შაბათს, 22 მარტს, ქუთაისში წარმოდგენილი იქნება ავგ. ცაგარლის „ხანუმა", წარმოდგენის მთელი შემოსავალი გადადებულია ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ტფილისიდგან ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა და ტფილისის სახალხო თეატრის ნიჭიერი სცენის მოყვარული ნიკო გოცირიძე.

◆ დღეს, 22 მარტს, დღესასწაულია ტფილისის მეტეხის ციხის ეკკლესიისა. ამ დღეს მწირველი იქნება ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი დიმიტრი.

◆ ქალაქის თავის მოადგილეს ბ-ნ შესტაკოვს აზრად აქვს მოიწვიოს შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ხმოსან ტეხნიკოსთა. კრებამ უნდა შეიმუშავოს საჰიდრავლიკო სადგურის მოწყობის შესახებ პირობები, რომლითაც შეუძლიან შეეკრას უსახელო საზოგადოებას. წინა კრებაზედ შემუშავებულ პირობებს უსახელო საზოგადოება არ დასთანხმდა.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მახლობელ კრებას სჯა-ბაასი ექმნება იმის შესახებ, მისცეს თუ არა ქალაქმა 2,000 მანეთი შემწეობა ტფილისის „მარიამ მაგდალინელის თავშესაფარს", რომლის წესდება უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია.

◆ ამ დღეებში ტფილისში, საგუბერნიო მმართველობის საბეითლო განყოფილების სადგომში, დანიშნულია ტფილისის მაზრის ბეითალთა კრება. კრებაზედ მოწვეულ იქმნებიან ის ბეითლები, რომლებიც მსახურებენ იმ ადგილებში, სადაც საქონელს უცრიან. კრებას სჯა-ბაასი ექმნება საქონლის აცრის საქმის უკეთესად მოწყობის შესახებ. საქონლის აცრა, როგორც ვიცით, ჯერჯერობით დაიწყო ტფილისისა, თელავისა, ბორჩალოსა და თიანეთის მაზრებში.

◆ მთავრობამ ნება დართო კერძო კაცებს სახალხო კითხვანი გამართონ სასოფლო მეურნეობის შესახებ. როგორც გადმოგვცეს, რამდენსამე ახალგაზდას ტფილისში განუზრახავს შეადგინოს პატარა ამხანაგობა და დროგამოშვებით სოფლებში სახალხო კითხვანი გამართონ.

◆ 25 მარტს ტფილისის რკინის გზის ახალ ეკლესიას აკურთხებს საქართველოს ექსარხოსი ალექსი. მოკლე ხანში დაარსებენ ამ ეკლესიის სამზრუნველო კომიტეტს.

◆ ქართულის დრამატიული საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია 20 აპრილს.

◆ ტფილისის ვაჭრებმა სთხოვეს სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტს, იშუამდგომლე გზათა სამინისტროს წინაშე, მომატებულ იქმნას საქონლის ვაგონები ბათუმის გზაზედ, რადგან გზა ვერ ასწრებს საზღვარ-გარეთიდგან დაბარებულ საქონლის ტფილისში ჩამოზიდვას, რაც ძალიან აბრკოლებს ვაჭრობის საქმესაო.

◆ ამას წინად, როგორც ვაუწყებდით მკითხველთ, ტფილისის ქალალაქის საბჭომ განიხილა სასწავლებელთა გამგე კომისიის განცხადება. ეს კომისია გამგეობას ემდურებოდა. ცუდად მოიქცა, რადგან კომისიის დადგენილება არ შეასრულა და ქალების სკოლის გამგეს ქ-ნ ჩიქოვანს სახლი არ დააცლევინა, როცა მისი შვილი გადამდებ სენით ავად გახდაო. საბჭომ კომისიის განცხადება უყურადღებოდ დასტოვა. გუბერნატორმა მოსწერა ქალაქის გამგეობას, საბჭოს ამ დადგენილებას სისრულეში ნუ მოიყვანთ ჯერ-ჯერობითაო.

◆ 20 მარტიდგან ტფილისში, ავლაბარში, სიფილისით ავადმყოფ კაცთათვის საავადმყოფო დაარსდა ქალაქის ხარჯით. მოწყობაზედ 500 მანეთამდე დაეხარჯა ქალაქის გამგეობას.

პასუხად ბ. ს. ტერ-ავეტიქიანცს

(გაზ. „მშაკ" № 45).

ამ დღეებში გაზ. „მშაკ"-მა დაბეჭდა კორრესპონდენცია ქ. განჯიდგან შესახებ წრევანდელ ქართული საღამოსა და აქაურ ქართველებისა.

ბ-ნი ავეტიქიანცი ჯერ აქებს აქაურ ქართველებს, მათს ენერგიას, გამრჯელობას, მათ აქაურ სომხების მისაბაძ მაგალითად ხდის, მაგრამ შემდეგ-კი, იმ ფურისა არ იყოს, რომ იწველა, იწველა, შემდეგ ჰკრა წიხლი და დააქცია, ერთი-ორი წიხლიც ჩაგვაზილა. ჩვენ წიხლის წინააღმდეგი არ ვიქნებოდით, რომ სრულიად უსაფუძვლოდ არა გვწიხლავდეს ბ-ნი ავეტიქიანცი. ეს უკანასკნელი გვისაყვედურებს:

1) ქართულ საღამოებზედ უმეტესად სომხები დადიან, ქართველები-კი სამაგიეროს არ გვიხდიანო. მაგ. ქ-ნმა სირანუშმა გამართა აქ რამდენიმე წარმოდგენა და არც ერთზედ არ დაესწრო აქაური ქართველობა.

ძალიან ვსწუხვართ, რომ ბ-ნ ავეტიქიანცს ვერ გაურჩევია ხასიათი და მიზანი ქართული საღამოსი და სირანუშის მიერ გამართულის წარმოდგენებისა. ეს უკანასკნელნი კერძო პირის, ე. ი. თვით ქ-ნ სირანუშის სასარგებლოდ გამართეს.

ქართული საღამოები-კი ყოველთვის საქველმოქმედო მიზნით იმართება ხოლმე. ეს განსხვავება მხედველობაში უნდა მიეღო ბ-ნ ავეტიქიანცს. ამასთანავე „საღამოს" გამგენი ცდილობენ ხოლმე მაყურებელთ გასაგები რამ მოასმენინონ: თათარს, რუს და სომეხს არ ესმის ქართულ საღამოზედ ჩვენი კომედია სამაგიეროდ სიმღერა, საკრავებზედ დაკვრა, ცეკვა-თამაში, ცოცხალი სურათები და სხვა. უზღავენ მათ ამ ნაკლს. ამასთანავე, არა ქართველი ქართულ საღამოზედ ზნეობრივ კმაყოფილებას ღებულობს, როდესაც ხედავს, რომ იმის 1—2 მანეთი ხმარდება კერძო პირს-კი არა, არამედ რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულებას. ქ-ნი სირანუში, თუმცა კარგი მსახიობია, მაგრამ არც ისეთი შესანიშნავი, რომ სომხური ენის არ მცოდნე წავიდეს იმიტომ, რომ ნახოს იმისი თამაში, დარწმუნებული უნდა იყვეს ბ. ავეტიქიანცი, რომ, მაგალითად, ვ. აბაშიძემ გამართოს აქ ქართული წარმოდგენა, სომეხს მიკროსკოპითაც ვერ აღმოაჩენთ დარბაზში და ეს გარემოება არც გასაკვირველი და არც საწყენი იქნება.

აბა, გამართონ აქაურმა სომხებმა რაიმე საქველ-მოქმედო საღამო, და მაშინ ნახონ, აქაურმა ქართველებმა იციან პატივისცემის გადახდა თუ არა. სხვა რაიმე გვისაყვედურონ, თორემ ქართველ კაცს პატივისცემის გადახდა არსად და არასოდეს არ ეზარება. 2) ბ. ავეტიქიანცი იმ ფაქტში, რომ სომხები ყოველთვის ბლომად დადიან ქართულ საღამოებზედ, უტყუარ ნიშანს ხედავს, რომ აქაურ ქართველებსა და სომხებ შუა კეთილი განწყობილება სუფევს. ეს სრული სიმართლეა და კიდევაც ვიგრძენით წრეულს: იმისდა მიუხედავად, რომ ზოგიერთნი ინტელიგენტი სომეხნი სცდილობდნენ ამ საღამოს ხელის შეშლას, აქაურმა სომხობამ შესაფერად დააფასა განჯის ერთი მუჭა ქართველების ათი წლის მოღვაწეობა და ბლომად დაესწრო „საღამოს". ამაში მართალია ბ. ავეტიქიანცი. მაგრამ არ ვეთანხმებით მას, როდესაც ისა გვკიცხავს, რად კითხულობთ ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის" რუსულ თარგმანსაო. სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს ესეთი შეხედულობა პატივცემულ ავეტიქიანცისა. ჩვენ პირადად ვიცნობთ ბ. ავეტიქიანცს, როგორც განვითარებულ კაცს, და არ გვეგონა, თუ ის გამოიჩენდა ასეთ ცალმხრივ მსჯელობას. მაშინ, როდესაც ბ. ავეტიქიანცი დიდის გულმოდგინებით კითხულობდა ბ. ლეოს წერილებს ჭავჭავაძის წიგნაკის შესახებ, იმან, როდესაც ჩვენ ვურჩიეთ წაეკითხნა „ქვათა ღაღადის" თარგმანი, აი რა პასუხი მოგვცა: „უზნეობად მიმაჩნია მაგ წიგნის წაკითხვა. რას დავდევ, იმას, ვინ სად რა გადაფხიკა, გამოსცვალა, გააქრო. ისა სჯობიან, ხლა ძმურად ვიცხოვროთ"-ო და სხვა. კაცია და გუნება, მაგრამ დღეს ჩვენ არამც თუ მარტო აწმყოთი ვცხოვრობთ, არამედ ბრწყინვალე წარსულითაც, ჩვენი მამა-პაპის სისხლით შეღებულ ნაშთებით. მაგრამ თუ წარსული ასე უმნიშვნელოა, რად სცდილობენ სომეხთა ზოგიერთი „მოღვაწენი" ჩვენი ქვების გადაფხეკით და გამოცვლით მეტი მნიშვნელოვანი და ბრწყინვალე გახადონ თავიანთი წარსული? და როდესაც ქურდს თხლეშედ იჭერენ, რაღად ჯავრობენ დალოცვილნი? თ. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ უმთავრეს ბრალდებების სიყალბეში არამც თუ არ დაგვარწმუნეს, არამედ დღე-ყოველ ახალ-ახალი ფაქტები ემატება, რასაც „ივერიის" მკითხველები, „ივერიის" შემწეობით, უწყიან. დაგვარწმუნონ, რომ თავ. ჭავჭავაძე ცილსა სწამებს სომხების ზოგიერთ ნასწავლებს (ზოგიერთს და არა მთლად ერს, მიხვდით და გაიგეთ ადამიანნო!) და მაშინ „ქვათა ღაღადს" იგივე ბაზარი ექნება, რაც მაგდა-ნეიმანის „Армяне"-ს. (თ. ჭავჭავაძისადმი სიძულვილმა ათქმევინა კავკ. სტუდ. დამხ. საზ. მმართველობის ზოგიერთ წევრებს უარი ცნობილ შემოწირულობაზედ, თორემ ჩვენ დარწმუნებული ვართ, პაზახჩანის რომელიმე ჩარჩ-ვაჭარს რომ ეანდერძნა რამდენიმე ათი თუმანი ამ საზოგადოებისათვის, იგივე წევრები არ შევიდოდნენ იმის განსჯაში, რა გვარ იქნებოდა შეკრებილი ფული) ამიტომ ჩვენ არაფერ სამარცხვინოს არა ვხედავთ იმ წიგნაკის არც გავრცელებაში და წაკითხვაში, და არც გვამცირებს ჩვენ ეს გარემოება. ერთობა კარგი რამ არის, მეტადრე ჩვენ და სომხებისათვის, წარსულ გულის ტკენასაც კაცი ადვილად დაივიწყებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მომავალში აღარ აწყენინებენ მას, მაგრამ ამის ნიშანს ჯერ ვერა ვხედავთ, ამიტომ ნუ გწყინთ როდესაც ზოგიერთ თქვენ მოღვაწეთ (გახსოვდეთ ყოველთვის,—ზოგიერთ) ეჭვის თვალით ვუყურებთ, მოპარულ მამლის ბოლოს ხელსა ვკიდებთ და ქურდს პირზედ არა ვკოცნით.

3) მესამე ბრალი, რომელიც დაგვდო ბ. ავეტიქიანცმა, ის არის, რომ ერთი ჩვენგანი თურმე დანარჩენებს ხელს აწერინებდა რამდენიმე წლის წინად ველიჩკოს მისართმევ ადრესზედ. აქ მართალი მარტო ის არის, რომ ერთ პირს მართლა მოუვიდა ესეთი ქაღალდი მაგრამ არც ამ პირს, არც სხვა ქართველს არ მოუწერნია ხელი, მგონი არც-კი არავის ჩვენგანს არ უნახავს ის ქაღალდი, ამ საგანზედ მეტს არას ვიტყვით, დეე, იმან იმართლოს თავი, ვისაც მოუვიდა ის ქაღალდი.

ვასო ჯაფარიძე.

ფელეტონი

გაგლეხებული კნიაჟნა

(ზღაპრული აქია)

I

ჯეილი გლეხი ლეო უღელი ხარის აჩაჩით ჰხნავდა, სთესავდა და ამით აცხოვრებდა თავის დაქვრივებულ დედას და პატარა დაძმებს. ერთხელ ლეოს უმცროსმა ძმამ დამპალი ხილეულობით ინთილა იკრა და ჩალოგინდა. ლეოს დედა მკითხავისაკენ გაქანდა ჩვეულებისამებრ და მკითხავმა უთხრა: „თუ გინდა, რომ შვილი მოგირჩეს, ადამიანების ამომწყვეტი დოხტურების წამალი არ დაალევინო, თელეთის წმინდა გიორგის კარს ალოცე ავადმყოფი, ერთი ძროხა დაკალით იქვე და ღარიბ-ღატაკებს დაურიგეთ სამადლოთო".

გადაეკიდა დედა ლეოს: ავადმყოფი თელეთში ვალოცოთ და ძროხაც მივართვათ დასაკლავათო.

— რას ამოფ, დედი, უღელი ხარის მეტიკი არა გვაბადია-რა და ამასაც რო ცალი გამოვაკლოთ, რაღამ შეგვინახოს და გვაცხოვროს? შენ აი, სათოკე-მატყუარა მკითხავების სიტყვას ნუ აჰყვე, ნუ, თორე ბოლოს ინანეფ და გვიან-ღა იქნება, —არიგებდა ლეო დედას, მაგრამ მაინც არ მოეხსნა დედა ლეოს, ჩრჩილივით შაუჯდა და დღე და ღამ მდუღარე ცრემლით ევედრებოდა:

— რა გინდა, შვილო, გენაცვალე, ოღონდ მარწყვი კონასავით დახატული შვილი გიგლა მომარჩეს, კიდევ დავინახო მიწაზე გავლილი და ხარს მე გიშოვნი საგაზაფხულო გუთნების გატანამდინ, და თუ ვერ გიშოვნო, პირიაბას გაძლევ, მე თითონ შავებმები ხარის ბადლათ აჩაჩაში.

შეებრალა ლეოს დღე და ღამ გულ-მდუღარედ ნამტირალი დედა და თხოვნა აუსრულა, მაგრამ ავადმყოფი ძმა, ხატის კარიდამ დაბრუნებული, მოუკვდა შუა-გზაში უწამლობით, ძროხის დაკვლამაც ფუჭად ჩაუარათ, გზის ხარჯაიი მამასისხლად აღებული ვალიც ვალად დაატყდათ კისერზე და მთელი ორი კვირაც მოსცდნენ და თავიანთ მაცხოვრებელ საქმეს დააკლდნენ.

— ეგე, აკი გეუბნებოდი, სათოკე და სათოფე მკითხავების სიტყვას ნუ იჯერეფ, თორე დავიღუპებით-მეთქი, —ხშირად უსაყვედურებდა ლეო სისხლის ცრემლით გულ-ნატირალ დედას, მაგრამ საყვედურმა წამხდარ საქმეს ვეღარაფერი უშველა.

დადგა ცა-ქვეყნის გამაცოცხლებელი და მთა-ველ-მინდვრების ათასფერად ამყვავებელი გაზაფხული. გაიტანეს გუთნები სოფლელებმა და გულ-საამებლად ააჭრელეს მწვანე-ხავერდის მთა-ბარი. ყველა ღვთის დანაბადი სულდგმული შეჰხაროდა კოპწია პატარძალივით ზიზილ-პიპილოებით ტურფად მორთულ-მოქარგულ გაზაფხულს და თან ველის ყვავილების სურნელებით გაჟღენთილი ნელი ნიავით სიამოვნობდნენ, გულსა და სულს იტკბობდნენ და ათასს ტკბილ-სანეტარო გრძნობა-ფიქრებს ეძლეოდნენ. საბრალო ლეოს გული-კი ზღვას ერეოდა ბოღმისაგან, რადგანაც უგრომშვილო დედამ ხარი ვერსად უშოვნა ვალით.

გაცოფდა ბრაზისაგან მოთმინებიდამ გამოსული ლეო და ერთს დილა-ბნელზე შააბა დედა აჩაჩში ცალი ხარის გვერდით. ლეოს აჩაჩას ჯერ ერთი კვალი არც-კი გაევლო მიწისთვის, რომ თავს წაადგა შარა-გზის პირას ერთი თეთრ წვერა-ულვაშა მგზავრი ცხენოსანი, რომელმაც გაჯავრებით შეუძახა ლეოს:

— ბიჭოს! შენ, ეი, ეგ რა გიქნია, შე ყურუმსაღო? დედაკაცი რატო შაგიბამ გუთანში?!

ცხენოსანს ლეომ ყველაფერი უამბო დაწვრილებით და ბოლოს ასე დაასრულა თავისი სიტყვა.

— აბა, შენი ჭირიმე, ბატონო, ეს რო სამგლე მკითხავი სიტყვას არ აჰყოლოდა და ჩემი გიჟი ქკვისათვინ დაეჯერებინა, მაშინ ხომ ეგრე აღარ დავიღუპებოდით და აღარც ეს ჩავარდებოდა ამ ცეცხლში. წვითა და დაგვით მონაგარი, გროში გროშზე დადებული ფულით უღელი ხარი ძლივს ვიყიდე არუსტაკაანთ პოლოსას უსულმერთო ვალ-ვახჩისაგან შეჭმულ-გამოხრულმა; მიხაროდა: ეგება როგორმე სილატაკის მახრჩობელა მორევიდამ ამოვიდე, ქონების ფიტი მოვიკრა, მეც ქვეყანაში გავერიო კარგ-უნახავი და დავცოლ-შვილიანდე-მეთქი. მაგრამ ამან-კი აი, ეგრე დამღუპა, დამაქცია და ცეცხლზე წყალი დამისხა სილატაკის ჭირ-ვარამისაგან დამწვარ-დადაგულს. მეც რაღას ვიზამდი, გაჯავრებული კაცის გული ხო მოგეხსენებათ რა არი, ავდექ ბრაზისაგან გაცოფებული და, ამისაგანვე დადებული პირობის ძალით, აჩაჩაში შავაბი, რო ეგება საკულაოთ მაინც ჭკვა ისწავლოს და ეშმაკის უბელო ცხენზე აღარ შაჯდეს-მეთქი.

ცხენოსანს ძალიან მოეწონა ლეოს ბრგეახოვანი წამოსადეგობის სანდომიანი თვალტანადობა, მისი თამამი და გონიერი ლაპარაკი, სასიამოვნო ვაჟკაცური სახე-თვალების მამაცური გამომეტყველება და ტკბილად უთხრა:

— გამოუშვი, შვილო, გამოუშვი უღლიდამ დედა-შენი. წამომყევი, ჩემი ძროხის ნახირში ერთი გიჟი მოზვერია, იალბუზის ბუღასავით გატროყებული, ვერავინ იმორჩილებს, და თუ შენ დაიჭერ და გამოჰქნი — მიჩუქებია ალალიმც იყოს შენთვის, როგორც დედიშენის ძუძუ.

ლეომ სიხარულით გამოუშვა უღლიდამ თვალცრემლიანი დედა და და დაედევნა ცხენოსანს. ცხენოსანი მდიდარი თავადი აბრამ გონიერიძე იყო გონიერიძეს ზღვისოდენა დოვლათი ჰქონდა და მისი უთვალავი ცხვარ-ძროხა და ცხენისა და ღორის ჯოგი მინდორს აბნელებდა სიმრავლით. მაშინ ბატონ-ყმობა აღარ იყო, მაგრამ თავადი გონიერიძე თავის დაუცხრომელ მხნეობითა და მეცადინეობით სიმდიდრეზე სიმდიდრეს უმატებდა წლის-წლობამდის და არა ჰგავნდა ზოგიერთ მკონარა-ამპარტავან „კეთილშობილს", რომელსაც შიმშილით კუჭი უცხვებოდა და შინ კატა ვეღარას შეუჭამდა და გარეთ—ძაღლი უსაქმურობით გალატაკებულს.

ფალავნობაში განთქმულმა, გულად ვეფხვივით ჯან-ღონიერმა ლეომ გიჟი მოზვერი ქამანდით დაიჭირა, ქოროღლივით დასჭყივლა გულ-შემზარავად, ჰოტა რქებში ჩკლავძლიერი ხელები დასტაცა ვაჟკაცურად, კისერი ყასბების ფანდზე მოუგრიხა და თვალის დახამხამების უმალ ბურთივით გააგორა მიწაზე თავ-გასული მოზვერი.

— ყოჩაღ! ბარაქალა, ბიჭო! სან იახში! — ტაშის ცემით შეაქო თავადმა ლეო, რომლის ვაჟკაცობა და თავადისაგან შექება ენის-გამოუთქმელად შეჰშურდათ გუნებაში თავადის მეძროხეებს.

გამოიგდო ლეომ რქებზე თოკ-მობმული და შიშისაგან აცახცახებული მოზვერი, იმავ დღესვე შეაბა აჩაჩში და საღამომდის ბრე გაადინა და „რაჲა მშობე, დედილო აძახინა.

საღამო-ხანზე თავადმა გონიერიძემ რომ ამოიარა, გაუკვირდა, იმოდენა მიწა მოეხნა ლეოს უღელი ხარის აჩაჩით. თავადმა ოცდა ხუთ-მანეთიანი აჩუქა ლეოს და უთხრა:

— აჰა, შვილო, ამ ფულით ახალი ჩოხა-შალვარი იყიდე შენთვინ და კვირას ჩემთან მოდი სახლში, ბედს უნდა გწიო, რადგანაც მომეწონე.

ლეომ დიდი მადლობა გადაუხადა მამა-შვილურად მოლაპარაკე, გულ-კეთილ თავადს და თავაზიანად მოახსენა:

— გეახლები, ბატონო, შენი ჭირიმე. ღმე-

ჰენრიკ. იბსენი *)

ჰენრიკ იბსენი,—გამოჩენილი და მცხოვანი მწერალი ნორვეგიისა და დიდებით მოსილი დრამატურგი, რომლის პატივსაცემლად გამართულია დღევანდელი წარმოდგენა,— დაიბადა ნორვეგიის ერთს პატარა დაბა სკიენში 1828 წელს 20 მარტს —(8), მაშასადამე სახელოვან მწერალს სწორედ დღეს შეუსრულდა 75 წელიწადი.

იბსენი დაიბადა და იზრდებოდა სოვდაგრის მდიდარს ოჯახში. მაგრამ ჰენრიკი ჯერ რვა წლისა არ იყო, როცა მამა მისი გნუდ იბსენი გაკოტრდა და მთელი მისი ოჯახის კეთილდღეობა პირქვე დაემხო. ამ დღიდან პატარა ჰენრიკის აღზრდისა და განვითარების საქმე სულ სხვა კალაპოტში ჩადგა. ბუნებით ჩუმი და გულ-ჩახვეული უმაწვილი ცხოვრების ადრეულმა სუსხმა და გაჭირვებამ ძალზე გაამწარა და განამარტოვა, რაცა ხათლად ამჩნევია ყველა იმის ნაწარმოებს.

პირველი სწავლა იბსენმა სკიენის სკოლაში მიიღო, სადაც მასწავლებლებს აკვირვებდა თავის ბუნებრივის ჭკუა-გონებით, მაგრამ ხელ მოკლეობამ ნიჭიერს უმაწვილს სწავლა-განათლებაზე ხელი ააღებინა და თექვსმეტის წლის იბსენი თავის სარჩენად შეგირდად შედის მახლობელ ქალაქის გრიმშტადის აფთიაქში.... უმაწვილის მდიდარმა ბუნებამ ვერ გაუძლო ხუთის წლის განმავლობაში შუშებისა და ქურქელის ხეხვა-რეცხვას და იგი ბედის საცდელად სხვაგან გადადის... ეს იყო სწორედ 1848 წლებში.

ამ დროს მთელს ევროპას ცეცხლივით მოედო რევოლიუციის გამომაფხიზლებელი ალი და, რა თქმა უნდა, რომ 21 წლის ჭაბუკი იბსენი მთელის თავის არსებით გაჰყვა რევოლიუციის ძლიერს ტალღებს; იგი ჩაება არეულობაში და მას დევნა დაუწყეს. 1850 წელს იბსენს ვხედავთ ნორვეგიის დედა ქალაქში—ქრისტიანიაში—სადაც იგი, მიუხედავად დიდის გაჭირვებისა და უმწეობისა, მხნედ ემზადება უნივერსიტეტში შესასვლელად, მაგრამ, საუბედუროდ, აქავე ხელმოკლეობის გამო ვერ ისრულებს თავის დიდი ხნის წადილს.

ამავე ხანებში იბსენმა გაიცნო მეორე თავისი მზგავსი დიდ ბუნებოვანი ახალგაზდა ბერნსონი, ისიც დიდებული დრამატურგი და მასთან ერთად და კიდევ სამიოდე ახალგაზრდა, ქვეყნის სიყვარულით გამსჭვალულ უმაწვილ კაცთან აარსებს საყოველ-კვირაო პოლიტიკურ ჟურნალს, რომელმაც ბევრი ააყაყანა, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო ამ ჟურნალმა და უსახსრობისა გამო რვა თვის შემდეგ სამუდამოდ გაუქმდა

ჟურნალის მოსპობის შემდეგ იბსენი მიიწვია ცნობილმა მემუსიკემ ოლე-ბულემ თავის მიერ დაარსებულ სახალხო თეატრში რეჟისორად ქალაქ ბერგენში. იბსენს თითქოს ბედმა გაუღიმაო—იგი მხნედ შეუდგა მუშაობას როგორც რეჟისორი და უფრო კი როგორც დრამატურგი, მაგრამ, სამწუხაროდ, ხუთის წლის შემდეგ, ბერგენის სახალხო თეატრი უხსნრობისა გამო დაიხურა.

ბერგენიდან იბსენი გადავიდა ისევ დედა ქალაქში, სადაც იგი მიწვეულ იქმხა რეჟისორად და მერე დირექტორად დიდს თეატრში. აქაც, როგორც ბერგენში, იბსენს თეატრის საქმე თავისებურის მხნეობით მიჰყავდა 1863 წლამდე, მაგრამ ამ ხანებში წარმოადგინეს მისი ცნობილი პიესა „სიყვარულის კომედია“, რომელმაც, როგორც მთავრობა, აგრეთვე საზოგადოება, ძრიელ გააალმასა ავტორის წინააღმდეგ. ბოლოს ისეთი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომ იბსენი იძულებული შეიქმნა, არა თუ თეატრისათვის თავი დაენებებინა, არამედ სრულებით მოშორებოდა სამშობლოს. მართლაც 1864 წელს იბსენი საზღვარ გარედ გავიდა საცხოვრებლად.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა გამწვავება იბსენის წინააღმდეგ დაცხრა, სტორტინგმა იბსენს დაუნიშნა ყოველ წლიური შემწეობა, რის გამოც იბსენის ცხოვრება ცოტათი მაინც უზრუნველი გახდა და ამიტომ ამ დროიდან იგი, გაორკეცებულის ხალისით შეუდგა დრამებისა და კომედიების წერას

იბსენი მთელის ოცის წლის განმავლობაში მოშორებული იყო თავის ქვეყანას და მხოლოდ 1885 წელს დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მადლობელი ერი დიდის აღტაცებით დაუხვდა უკვე სახელ განთქმულს შამულიშვილს. მიუხედავად იმისა, რომ იბსენი მეტად დიდ ხანს იყო მოშორებული სამშობლოს, ყველა მის ნაწარმოებს ეროვნული ელფერი ადევს და ნორვეგიის ჭირვარშიაა არის გამსჭვალული. იგი, იმის გარდა, რომ სახელოვანი და მსოფლიო მწერალია, დიდებული მამულიშვილი და სამაგალითო პატრიოტიცაა.

ევროპაში და კერძოდ რუსეთ და ჩვენში იბსენის პიესებს დიდი ხანი არ არის, რაც საზოგადოება იცნობს. საზოგადოდ-, დრამატურგის სახელი საოცარის სისწრაფით მოედო მთელს განათლებულ ქვეყნიერობას. ყველგან, სადაც-კი მწერლობა და თეატრი არსებობს, [illegible]სენს უეჭველად იცნობენ.

პირველი პიესა იბსენმა დასწერა ამ ორმოცდაცამეტის წლის წინად, სწორედ იმ დროს, როცა ჩვენში ჩაიყარა ქართულის თეატრის საძირკველი. იბსენის პირველ ხანების პიესები მომეტებულად სულ ისტორიულის ხასიათისაა, ხოლო მეორე ხანის პიესები, სამოცდა ათი და ოთხმოციანის წლების შემდეგ, უფრო [illegible] შესანიშნავია, თავის მიმართულებით თუ [illegible] აზრით.

დედა აზრით და მიმართულებით რიგ იბსენის პიესები განაწილდება ორს ჯგუფ: ტენდენციური კომედიები, კილვა-კიცხვით სავსე, და ფსიხოლოგიური დრამები.

თავის კომედიებში იბსენი ცალ-კეს დაჟინებით და თითქმის ფანატიკოსურის მხნეობით იცავს ადამიანის პიროვნებას, ვითარცა ზენაესს თავისუფლებას კაცისას. ყოველივეს, რაც-კი ამ პიროვნებას აწვრილმანებს და ა[illegible]ხავეს მიწასთან ასწორებს, გინდ საზოგადოება [illegible] იგი, გინდა სახელმწიფო, ოჯახი თუ ერთობა, კანონი თუ დემოკრატიული უმრავლესობა. ამ გვარ ხასიათების პიესებად ჩაითვლება „ექიმი შტოკმანი“ „ბრანდი“ „ნორა“ და სხვ. ავტორი ამ პიესებში საერთო საკითხს ეხება „შეიძლება თუ არა სიმართლით ცხოვრება [illegible] თანამედროვე საზოგადოებაშიო? თვითვე იძლევა პასუხს—შეუძლებელიაო. „[illegible] ცხოვრება დამოუკიდებელს და სრულს პიროვნებას არ ძალუძს, თუ იგი არ ამაღლდა, ესე არ უარ ჰყო ოჯახი, საზოგადოება, წოდება თუ პოლიტიკური უმრავლესობა“-ო.

მეორე ჯგუფის პიესები, ესე იგი ფსიხოლოგიური დრამები ცხოვრების სხვა მხარეს ეხება: „შესაძლებელია თუ არა აწინდელს გარემოში ბედნიერება, დაკმაყოფილებული გრძნობა [illegible] სიამოვნებაო!“ მხცოვანი მწერალი აქაც უარს გვეუბნება. „არა, ბედნიერება [illegible]ძლებელია ამ ქვეყნად, რადგან ბედნიერება და სიცრუე, გულწრფელობა და თვალთ-მაქცობა ერთმანერთისაგან განუყრელნი არიანო. ხოლო რა არის იგი ბედნიერება, რომელსაც სწამლავს სიყალბეო! არ შეიძლება ადამიანი ბედნიერი იყოს კიდევ იმიტომ, რომ არც ერთი ჩვენთაგანი დამოუკიდებელი არ არის და ვერც როდისმე იქნება დამოუკიდებელი, რადგანაც იგი თვისდა უნებურად დამოკიდებულია ჩამომავლობის კანონით მამა პაპაზედ, მათს ზნე-ჩვეულებაზედ... მემკვიდრეობითი ნაკლი შავის ყორანივით ზედ დაგვჩხავისო“ და სხვათ. ამ გვარის ხასიათის პიესებია: “გარეული იხვი“, „მოჩვენებანი‘‘, „ზღვის ქალი“, „გედა ჰაბლერი“.

აი უმთავრესი დედა აზრი იბსენის პიესებისა, რომელიც ათასნაირ მწარე ფიქრებს იწვევს თანამედროვე საზოგადოებაში და სწორედ ამაშია ძალა იბსენის საოცარის ზედგავლენისა განათლებულ კაცობრიობაზედ. ხოლო იბსენის ყველა ღირსებაზედ მეტი ღირსება ის არის, რომ იგი დედაკაცების მოსარჩლე და ქომაგია, მათის პიროვნების დამცველი და გამმაადიანებელია. ამიტომაც უწინარეს ყოვლისა ქალებს ჰმართებთ ვაშა შესძახონ ჩრდილოეთის ამ მხცოვან გენიოს!!.

---

*) სიტყვა, წარმოთქმული .ვ გუნიას მიერ 20 მარტს იბსენის პატივსაცემლად გამართულს ქართულს წარმოდგენაზედ.

ჩვენებური ამბები

რაჭა. წლევანდელისთანა სასტიკ ზამთარს ძვირად მოვსწრებივართ ლებელები. ჩვენში ჯერ კიდევ არშინ ნახევარი სიმაღლე თოვლი ძევს სოფლად და ვეჭვობთ, ვაი თუ მაისის შუა რიცხვებამდის ვერ ველირსოთ კეკლუც გაზაფხულის განმაცხოველებელ სითბოსა! ხალხი ძლიერ შევიწროებულია უსაკვებობით. ძირი თივა წონით 12—13 ფუთი ოც მანეთად ფასობს. გზა ს. ლებიდან დაბა ონამდე ავსილია დიდრონის თოვლის ზვავებით, რის გამო დასაპანებული ცხენის ტარება ყოვლად შეუძლებელია და საცოდავი სარჩო-ნაკლე ღარიბი ხალხი ზურგით ეზიდება ნამუშევარს დაბა ონიდგან-

ამ თვის 10 ს სოფელ ლებში მოხდა არჩევა სოფლის მოხელეებისა. მოხელეების არჩევანი მოახდინა ონიდამ მოსულმა სტრაჟების უფროსმა ურიადნიკმა. როგორც წასულ არჩევნებზე, საზოგადოებაში წელსაც დიდი გაწევ-გამოწევა და აყალ-მაყალი იყო. მთელი საზოგადოება დას დასად იყო გაყოფილი და თითოეულ დასს უნდოდა თავისიანი დაეყენებინა მამასახლისად. რადგან ცუდუბრალოდ ლაყბობით დრო იკარგებოდა და საქმე-კი არ კეთდებოდა, ურიადნიკმა ურჩია საზოგადოებას აერჩია 12 კეთილ-საიმედო კაცი და დაევალებინა მათთვის ყველა მოხელეების არჩევა. თქმა და ასრულება ერთი იყო. საზოგადოებამ აირჩია 12 კაცი და შეუგზავნა ურიადნიკს კანცელარიაში.

კანცელარიაში რომ ურიადნიკის თანადასწრებით 12 კაცი მოხელეების არჩევას შეუდგნენ და ერთმანეთთან სარჩლობა-ცილობით საქმეს ამწვავებდნენ, გარედ თავშეყრილ საზოგადოებაში, სულ სხვა აზრმა და მსჯელობამ იჩინა თავი.

— ხალხნო, სირცხვილი არ არის, რომ ამოდენა ხალხი 12 კაცს შევსჩერებოდეთ პირში? მეტი თავს ლაფის დასხმა იქნება-ღა, რომ თორმეტმა კაცმა იქვე აირჩიოს სოფლის მოხელეები და ამოდენა ხალხმა-კი ვერა?—წამოიძახა ერთმა შუახნის გლეხმა კაცმა.

— მამა ნუ წამიწყდეს, რომ ამ თორმეტმა კაცმა ჩვენ კარგი არა გამოგვირჩიონ-რაო,—დასძინა მეორემ.

— დედა მიცხონდეს, ისინი დაქრთამულნი არიან და ვინც თვითონ უნდათ იმას დააყენებენ სუდია-მამასახლისებად,—სთქვა მეორემ.

— არ გვინდა იმათი არჩეული, არ გვინდა! თვითონ ჩვენ ამოვირჩიოთო,—ერთხმად იგრიალა საზოგადოებამ.

— სუთ, სუთ! ერთი სიტყვა მეც მათქმევნიეთ და მერე რაც გინდათ ისა ქენითო,—მიაძახა საზოგადოებას ერთმა ტანად მაღალმა ხანში შესულმა გლეხმა.

საზოგადოება სმენად გარდაიქცა. მოხუცმა დაიწყო: „ძმებო და საყვარლებო! გული მეწვის სწყალი ჩვენი საზოგადოების ცოდვითა. მრავალ ბეგარა გარდასახადებთან ახლანდელმა მამასახლისებმა 12 თუმანი თავის ჯამაგირიც კისერზე დაგვაჭედეს. რამდენ უბედურობასა და გადასახადს გაუძლოს კაცმა? ვხედავ რომ ჩვენში მამასახლისობა ბევრს უნდა. ვინც პირიქით მოგვცეს საზოგადოებას ასი მანეთი, ვინც კვირა უქმეს გარდა გზის სამუშაოში არ გაგვიწვიოს, ის დავაყენოთ მამასახლისად. თუ ვინმე დადგება მამასახლისად ამ პირობით ღმერთმა მოგახმაროს და გაბედნიეროს თუ არა და მე დავდგებიო“.

რაკი ხალხმა სამამასახლისო კაცისაგან ასეთი საამო და საზოგადოებისთვის სასარგებლო პირობა მოისმინა, ერთხმად აყაყანდა: აი, აშენდა შენი ოჯახი! აი, გაძრიელდა შენი ცოლი და შვილი! აბა ჩვენც მაგისთანა მამასახლისი გვინდა და ღმერთმა გაბედნიეროსო!“ მიულოცა მოხუცს მამასახლისობა. ამ დროს ბალკონზედ გამოვიდა ურიადნიკი თავის 12 ვეზირებით არჩეულ სოფლის მოხელეების გამოსაცხადებლად, რომელსაც გამოსვლისათანავე ერთხმად მიაძახა ხალხის ყრილობამ: „ბატონო ურეტნიკო! ჩვენ არჩეული გვყავს სამამასახლისო კაცი და გთხოვთ პრიგოვორი დაგვიდგინოთო.

— ხალხო, მე არ მესმის თქვენი ლაპარაკი, უპასუხა ურიდნიკმა თორმეტი კაცი მომეცით, მითხარით: ვისაც მაგენი დაასახელებენ მოხელებად ჩვენც თანახმა ვიქნებითო და ახლა მეუბნებით მამასახლისი ამოვირჩიეთო? რას გავს ეს?

— ჩვენ 12 კაცის ამორჩეულების ყაბული არა გვაქ. უთხრა ხალხმა—აი ჩვენი მამასახლისი და ჯლიქის კვრით მიაგდო საზოგადოებამ სამამასახლისოდ არჩეული გლეხი სიმონა ოთუბაშვილი ურიადნიკის წინ.

სასტად დარჩა მოულოდნელის ამბით გაოცებული ურიადნიკი, მაგრამ ამ დროს სოფლის მწერალმა წასჩურჩულა: „ბატონო, მაგათი ამორჩეული კაცი 60 წლისა არის და ამ ხნის კაცს კანონით მამასახლისობა არ ეკუთვნისო. ურიადნიკმა გაშინჯა კამელარი და მართლაც გლეხი სიმონა ოთუაშვილი 60 წლის აღმოჩნდა, ამის გამო უარი ეთქვა საზოგადოებას მათ მიერ არჩეულ კაცის მამასახლისობაზე. ამის შემდგომ საზოგადოება ძალაუნებურად დასთანხმდა 12 კაცის არჩეულებზე და იქმნა წაკითხული საყოველთაო გასაგონად სია არჩეულ მოხელეებისა. დასასრულ ურიადნიკი სამგზის შეეკითხა საზოგადოებას.

— ყაბული ხართ ამ ამორჩეულ კაცებზედ?

საზოგ-დოებამ სრული თანხმობა განაცხადა და ხელი მოაწერა განაჩენზე.

რუნის თაველი.

რუსეთი

— მიმდინარე წლის 1 იანვარს მთელი რუსეთის იმპერიაში 6,212 შემნახველი კასსა იყო, სადაც ინახებოდა სხვა-და სხვა პირთაგან შეტანილი 782,869,000 მან., ერთი წლის განმავლობაში, 1901 წ. შედარებით, შეტანილ თანხას 59 მილ. მან. მოემატა. საინტერესოა, რომ ქარხნებთან გახსნილ შემნახველ კასებში, გასულ წელთან შედარებით, თანხამ იკლო; 130,000 მანათითაა შარშანდელზე ნაკლები.

— მარტის 15-ს გაზ. „Новое Время“-ს რედაქტორს, ბ. ბულგაკოვს, როცა იგი რედაქციას უახლოვდებოდა ეტლით, თავს დაესხნენ ბ. ჩერმანი, მაიკოვი და კიდევ ერთი უცნობი კაცი და შეურაცხყოფა მიაყენეს. ყველა ეს პირნი დაპატიმრებულნი არიან.

— გაზ. „Правит. Вѣст.“-ში გამოცხადებულია. მარტის 9 ს უფის გუბერნიის ქ. ზლატოუსტში რკინისა და რელსების სახელმწიფო ქარხანაში 160 მუშამ თავი დაანება მუშაობას. მარტის 10-ს 5000 კაცმა მოიყარა თავი მოედანზე და გამოაცხადეს, არა გვსურს ახლად შემოღებული პირობებით მუშაობაო. ქ. ზლატოუსტში ჩამოვიდა უფის გუბერნატორი და ჟანდარმების პოლკოვნიკი. მარტის 13 ს მუშებმა ისევ მოიყარეს თავი და თხოულობდნენ სამი დაპატიმრებული მუშის განთავისუფლებას; ალყა შემოავლეს პოლიციის გამგეობას, ჟანდარმის როტმისტრის და სამთო გამგეობის უფროსის სადგომთ; ამტვრევდნენ ფანჯრებსა და კარებს. გუბერნატორი დიდხანს ამშვიდებდა ხალხს. მუშები გზაზე გადაეღობნენ პროკურორს და არ უშვებდნენ მას საპყრობილეში; შეცვივდნენ გუბერნატორის კვალ-და-კვალ სამთო გამგეობის უფროსის სადგომში. გუბერნატორის განკარგულებით გამოწვეულმა ჯარმა თოფის სროლით გაფანტა მუშები. მოკლულ იქმნა 28 კაცი; დაჭრილთა რიცხვი—50-ა. მაზრის უფროსის თანაშემწე და ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი მსუბუქად არიან დაჭრილნი რევოლვერის ტყვიით. მარტის 14-ს არეულობა მოისპო და მუშები ისევ დაბრუნდნენ ქარხანაში თავიანთ სამუშაოზე.

უცხოეთი

საფრანგეთი. მარტის 23 (ახ. სტ.) სენატის კრებაზე სრულიად მოულოდნელად შეეხნენ დრეიფუსის საქმეს და,—ასტყდა ალიაქოთი.

როცა კონგრეგაციების დახურვის შესახებ ასტყდა კამათი, დეპუტატმა ლაზიმ განაცხადა,—სანამ ამა თუ იმ საკონგრეგაციო დაწესებულებას გავაუქმებდეთ, საჭიროა შევეკითხოთ ადგილობრივ ამომრჩევლებს,—სადაც ეს დაწესებულებანი არსებობს—ჰსურთ, თუ არა, გაუქმება ზემოხსენებულ დაწესებულებათაო. სწორედ ამ წინადადების განხილვის დროს,—რომელიც დასასრულ 377 ხმის უმეტესობით, წინაამდეგ 156-ისა, უარ-ჰყვეს—აირია მონასტერი. თავის აზრის სამართლიანობას დეპუტატი ლაზი იმაზედ ამყარებდა, რომ თავისუფლება უნდა იქმნას დაცულიო. მაშინ

რომა შენი წყალობა და ნუგეში ნურავის მოაკლოს, და მამა უფალმა გცეს პატივი ჩემი პატივას ცემისათვის.

იმ ღამეს თავად გონიერიძეს არა სძინებია და სულ ამასა ფიქრობდა ქვეშაგებში: „მოდი, ლეოს დავისიძეებ და ჩემს ქალს ცისკარას შევრთავ ცოლად. თორემ იმასაც იგეთი საქმროები ეტორღიალებიან, რომ ბოლოს ისიც უბედური იქნება ქმრისაგან თავის უფროს დებივით. აი, ქალის მშიერმა მგლებმა დაჭამონ ჩემი სათოკე სიძეები!.. ღმერთო მადლო! რა ქნეს, რეები არ ჩაიდინეს იმ წყეულ-შეჩვენებულებმა: თავიანთ მაცხოვრებელი დედულ-მამულიც გაყიდეს და გუდა-ლეღვივით გადაყლაპეს ათასგვარ გარყვნილობაში, ლოთობაში, პლუტობაში, ქალაღდობაში და არ იფიქრეს იმ პირშავებმა, რომ ცოლებს რიგიანად შენახვა უნდათ, შვილებს სწავლაში გამოზრდა და კეთილ-ცხოვრების გზაზედ დაყენებაო. ჩემგან მიცემული იმოდენა ქრთამ მზითევიც დალუპეს იმ უტვინოებმა და თავიანთი მარგალიტივით ცოლ-შვილი მე მომახვიეს თავზე, შენახვის თავი რომ აღარა ჰქონდათ. ერთ ღამეს კიდევ ხომ ცოტას გაწყდა სახლიც არ გამიცარცვეს ყაჩაღურათ და დამბაჩა ხმალ-ხანჯლებით არ ამოგვწყვიტეს!.. აი, ჯოჯოხეთის ჩხებ-კუდიანმა ტარტაროზმა მთხოვოს აიგეთი საციმბირო სიძეები, რო იქ მკვდრებს აკლიან და აქ ცოცხლებს აწუხებენ, ის მგლის მუცელში გასაძვრენები!.. მადლობა ღმერთს, ცხოვრების ათასნაირმა გამოცდილებამ ჰკვა მასწავლა და ადვილათ აღარ მოვტყუვდ. მორჩომილი საქმეა, მორჩომილი! ლეოს-და დავისიძეო, თორემ თავზე-ხელ აღ „რაზბონიკებს“ რომ კიდევ ერთი „რაზბონიკი“ სხვა მივუმატო, შაიყ ერთ ღამეს ყაჩაღებივით და მოსისხლე ლის ჯარ-ლაშქარივით დამეცემიან ასა ბათ ამ სიბერის დროს და ეს ამოდენა ზე მოხვეული შვილი-შვილებიც უსწავლ ბი და თავ-გამოუბმელები დამრჩებიან“.

გათენდა კვირაც და რაღაც სიხარუ მომლოდინე გულის ფანცქალით გასწია ლ თავადისაკენ. ისე გამოცვლილიყო და შვენებულიყო ფალავნობაში ნაქები ახალ ჩოხა-შალვარში, კოხტად გვერდზე გდებულ ნაბდის ქუდში და ცხვრის დუ დაბწკვინებულ ჩუსტებში, რომ მისი საამუ თვალ-ტანადობით და დახატული სახე-თ ლების ყურებით ვერ გაძღებოდა ადამია წმინდად პირ-მოპარსულს ისე დაეგრიხნა უ ვაშები ფალავნურად, რომ ბუზი აეგებოდ

თავადმა ძლივს-ღა იცნო ახალ ტანისმოსში მთლად გამოცვლილი ლეო, შეიყვა ცალკე ოთახში და უთხრა:

— აი, რას გეტყვი, შვილო ლეო, უნდ დაგისიძეო. ამაღამვე ჩემს ქალთან დაგაწვენ როგორც გლეხკებმა იციან ნიშნის მიცემი უმალ; და ხვალ ზევით კიდე დაგაქორწლებ შენ რას იტყვი ამაზე?

ლეოს მეტის მეტად ეუცხოვა და გაუკვირდა თავადის ასეთი გადაჭრილი სიტყვები და დარცხვენით უპასუხა:

— მასხარათ მიგდებთ, კნიაზო, მე რა თქვენი საკადრისი ვარ, ერთი უჰსწავლელი გლეხი, საწყალი მიწის მუშა.

— ნუ ჰსულელობ, მასხარად კი არა, მე მართალს გეუბნებიო, და დაწვრილებით მოუყვა თავადი თავის უტვინო სიძეების აქიას, და როდესაც დაბეჯითებით დაარწმუნა ლეო, რომ ასეთია ჩემი განზრახვაო, ბოლოს ასე დაარიგა:

— აბა, ლეო, თუ ვაჟკაცი ხარ, შენს საცოლოს გულს მოინადირებ და მერე ველარას იზამს. რაღა თქმა უნდა, ჩემი ქალი ჯღანშანიანაო გადირევა გიჟ-მოზვერივით და ყრმათ არ გიკადრებს, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს, ხროს განმავლობაში გული გამოეცვლება ელ-ნელა და ბოლოს ლაცა გოჭივით შეეჩვევა, რადგანაც ნათქვამია: ადამიანი ჯოჯოხეთსაც კი შეეჩვევაო, და მადლობა ღმერთს, ჯოჯოხეთი-კი არა, ვაჟკაცი ხარ დაუფასებელი. ჩიჩინი ნულა გინდა, [illegible]ნიერსა ერთი უთხარ, უგუნურსა ათასიო. [illegible]ლამვე აასრულე, რაც გითხარ, თორემ სა[illegible]ელს ველარ მივაღწევთ, ილოდე.

— რასა ჰბრძანებ, შენი ჭირიმე, რი. მიბ[illegible]ა, ანთებულ საკირეშიაც-კი თავ-დაყირა [illegible]რევვი ყუმბარასავით,—მორჩილად მოახსე[illegible] ლეომ.

— ჰოდა, მეც ემაგეთი გულადი ვაჟკაცი [illegible]რს,—მოუწონა თავადმა.

[illegible]ეო თავის ცოლ-შვილთან ასადილა იმ [illegible] თავადმა, და მერე ცალკე ოთახში გა[illegible]მრა მოსასვენებლად. ლეოს წასვლის შემდეგ მამამ თავისს უმცროსს ქალს უთხრა:

— აბა, შვილო, ცისკარავ, აიმ გლეხ-კაცს ლეოს უნდა მიგათხოვო ცოლათ და რას იტყვი? იცი, რა ყოჩაღი ვაჟკაცია, ცალი და ბადალი არა ჰყავს, შენმა გაზდამ!

ამ სიტყვების გაგონებაზედ ქალებმა მხიარული სიცილ-კასკასი და სასაცილო ოხუნჯობა ასტეხეს, და ბოლოს თავსაია, გაფაშფაშებულმა კნეინამ უსაყვედურა ქმარს:

— ყმაწვილო, რად იცი ხოლმე მაგისთანა გულის ამრევი ხუმრობა. აბა, ან რა საკადრისი იყო, ვიღაც მოუხეშავი გლეხუჭანა რო სუფრაზე წამომისკუპე გაბებღვილ ღენერალივით. მამა უცხონდა „კუხნაში“-კი არ ეკადრებოდა ესადილნა. ნეტა მითხრა: ვინ არი, საიდამ მოთრეულა, რას ეფერები, რა ჩინ-ტემლაკებს გამოელი იმისაგან?

— თქვენ ხუმრობა გგონიათ, ჩემო დუდუნა გვრიტებო, მაგრამ მე-კი მართალს გეუბნებით — წარბ-შეჭმუხვნით წარმოსთქვა მტკიცე-შეურყეველ ხასიათის თავადმა, დარბაისლურის სიდინჯით გამოაბოლა გძელ-ტარა ჩიბუხი და გულ-არხეინად გავიდა საწოლ ოთახში მოსასვენებლად.

ჩავარდა ჩვენი ლეო ტუხია ღორივით ქერის ორმოში: დიდ-კაცურად გამოიძინა სადილ შემდეგ, საღამოზე რძით ჩაი მოითხოვა, მერე კაი მსუქანი ვახშამიც ზედ დააყოლა საუკეთესო კახურის ღვინით, ვახშამ შემდეგ სხვა-და-სხვა სატკბილობელით ჩაიკოკლოზინა პირი; დაიტკბო სული და გული ამომავალ მზესავით ცისკარას ყურებითაც და ბოლოს ისევ ცალკე ოთახში წააბრძანეს მოსასვენებლად კუდვარდა მოსამსახურეებმა.

გულ-საამებელი მთვარიანი ღამე იყო. ევლოგის სანთლებივით ქრიქრიკა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, ლაჟვარდოსანი, სულ-განაბული დაჰყურებდა ღამის სიჩუმით მიყრუებულ სოფელს. სიოიანი ნელი ნიავქარი საამურად აშრიალებდა ბუჩქნარებს და დიდრონ ხის კენწეროებს. ზევარდმო მადლით აღფრთოვანებული ბულბული სადღაც ვარდს შეჰყეფდა გულის დამატყვევებელ გალობით. ჰოტი ბულბულს ეჯიბრებოდა გალობაში და თავ-მომწონედ გაჰკიოდა დაჟინებით: ჰოტ! ჰოტ! ჰოტ!..

ამ დროს ლეოს ფანჯრის მახლობლად შარა-გზაზედ ვიღაც თავადურად ჩაცმული, ხმალ-ხანჯლიანი ყმაწვილი კაცი დასეირნობდა და გულ-მომხიბლავ გრძნობით მღეროდა გულის სიღრმიდგან ამოკვნესით ამ სიტყვებს:

ქალაია ბაღანა,
მთის ვარდი ხარ ლაღანა!
მუდამ შენთვინ ვტირი მე,
ნუნმკლავ შენი ჭირიმე!

— ერი ჰაი!. ეს სწორედ ვინმე უცოლო, ლოთიფოთი და დარდიმანდი კნიაზი იქნება,—ფიქრობდა ლეო; ეტყობა ცისკარას სიყვარულის ალით იწუკება ცეცხლში ჩავარდნილი ქალმის ჯღანივით, მაგრამ ვერ მოგართვეს, კნიაზო, გოჯის თავი, ვერა!..

დ. მაჩხანელი.

(დასასრული იქნება)

პრესანსემ შეჰნიშნა ორატორს,—ბონაპარტისტს არავითარი უფლება არა აქვს თავისუფლებას ექომაგებოდეს, ვინაიდგან იგი იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც მოპირდაპირეთ სამშობლოდგან აძევებდა და სიკვდილითა სჯიდაო. ამაზედ ლაზიმ უპასუხა, რომ იგი და მისი დასი გენერალ გალიფეფს ალტაცებით მიეგებაო. ამას მოჰყვა დრეიფუსის საქმის შესახებ კამათი.

სოციალისტთა შემდეგ ილაპარაკა რიბომ და, სხვათა შორის, შეჰნიშნა,—სამწუხაროდ, სოციალისტებმა ეს საქმე მხოლოდ პოლიტიკურ მიზანთა მისაღწევად გამოიყენესო.

„გულწრფელად პატივსა ვცემდი იმ კაცთ, რომელთაც სრულიად უანგაროდ მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს და საფრანგეთში გამოიწვიეს ის, რაიცა მწერლობამ ზნეობრივ კრიზისის სახელით მონათლა. პატივსა ვსცემდი ჟორესს, როცა იგი გამოექომაგა ამ საქმეს. მაგრამ ვინ უარ ჰყოფს, რომ თქვენ უფრო მხედრობის ძლიერების შერყევა არა გწადდათ და მხოლოდ იურიდიულ შეცდომის შესწორება! (მარცხნივ დიდი უკმაყოფილება).

კმარა; დროა თავი გიიანებოთ ამ საქმეს. როცა 1898 წ. პალატა შეკრბა, რესპუბლიკის პრეზიდენტმა მომიწოდა და კაბინეტის შედგენა მომანდო. მე არ დავთანხმდი, რადგან ეს დას-დასობის საქმე იყო და, იმისთვის, რომ უზრუნველ მეყო ქვეყნის მშვიდობიანობა, უნდა შემერიგებინა სხვა-და-სხვა დასი. ბრისონმა იკისრა ეს საქმე, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. მე მომხრე ვარ უფლებისა და სამართლიანობისა. ნუღარ ეხებით ამ საქმეს, რომ კიდევ არ დაარღვიოთ საზოგადო მშვიდობიანობა.

თუ თქვენ მაინცა და მაინც კიდევ აღძრავთ ამ საქმეს, აი, აქვე გაიგონებთ სრულიად დამოუკიდებელს ხმას,—ამ საქმეს მხოლოდ პოლიტიკურის ანგარიშით არ ანებებთ თავსაო. რათა ჰფიქრობთ, რომ სამართლიანობა და ჭეშმარიტება მხოლოდ თქვენი მონოპოლიაა?“

ორატორს პასუხი გასცა ჟორესმა, რომელმაც სთქვა,—რიბოს ბრალდება უსამართლოაო. „საიდგან გამოჰყავთ ის აზრი, ვითომ დრეიფუსის საქმეს იმგვარი პოლიტიკური ხასიათი ჰქონდეს, როგორც რიბოსა ჰგონია? იქიდგან, რომ იმ თავითვე მხოლოდ სიმართლისა და სამართლიანობისათვის მზრუნველობით გამოწვეულ მოთხოვნილებას საჩქაროდ გადაელობა წინ მთელის თავის ძალღონით მთავრობა სიცრუის დასაცველად...

თქვენა ბრძანებთ,—ამ ბრძოლაში მხედრობაც გაურიეთო. მხედრობას მხოლოდ ესტერგაზის თაყვანის მცემლებმა ჩასჭიდეს ხელი, იმ მეთაურებმა, რომელნიც ხელსა ჰკოცნიდნენ ესტერგაზის, იმ მთავარმა შტაბმა, რომელმაც განზრახ ყალბი საბუთები წარუდგინა სასამართლოს დრეიფუსის საქმის გარჩევის დროს. (მარცხნით აღტაცებული ტაში).

და, აი, როცა ქვეყანამ, როცა ქვეყნის ორსეულმა შვილებმა შეამჩნიეს, თუ რა დაცემულობისა, გახრწნისა და მოღალატეობის გზას დასდგომოდა ქვეყანა,—როდესაც მათ შეეძლოთ ეთქვათ, რომ ეს ფლიდი პოლიტიკა შედეგია იეზუიტურის აღზრდისა (მარცხნით ტაში),—მაშინ ბრძოლამ მართლაც პოლიტიკური ხასიათი მიიღო (დიდი წინააღმდეგობა მარჯვნით). თქვენ შეგიძლიანთ ჩემი ხმა დაჰფაროთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ხელს ვერ შემიშლით, რომ ძლევა-მოსილმა ჭეშმარიტებამ აქვე იჩინოს თავი და ნამდვილი დამნაშავენი ამ ბოროტ-მოქმედებისა ჯეროვნად დაისჯონ“...

— გაზ. „D. M.“-ის კორესპონდენტი ტანჟერიდგან იუწყება,—ფაშოდის გმირმა, პოლკოვნიკ მარშანმა იდუმლად გაიარა ტანჟერზე და ფეცისაკენ გაემართაო.

— საფრანგეთის სენატის კომისიის წინაშე წარდგენილ გარეშე საქმეთა საბიუჯეტო მოხსენებაში, სხვათა შორის, აღნიშნული იყო შემდეგი: თუმცა საფრანგეთის მთავრობას სრულებით არა ჰსურს მაროკკოს შინაურ საქმეებში ჩაერიოს, მაგრამ მაინც მზად უნდა იყოს ყოველ შემთხვევისათვისაო.

საფრანგეთის ერთი ჯავშნიანი გემი გამუდმებით მერს-ელ-ქებირში სდგასო. ხმელთაშუა ზღვაში მდგომი ჯავშნიანი გემები მზად არიან პირველ ბრძანებასთანავე მაროკკოსაკენ გაემართონო. საფრანგეთის მთავრობამ გააძლიერა მაროკკოს საზღვრებზედ რაზმები და განდევნა ფიჯიგიდან საეჭვო აგიტატორებიო.

ოსმალეთი. სერბიის გაზ. „Odiek.“-ი იუწყება,—მთავრობის განკარგულებით ვენელი აგენტები დაიარებიან ევროპის უმთავრეს ქალაქებში და თავს უყრიან მაკედონიის აჯანებაში მონაწილეობის მიღების მსურველებს. ამ აგენტებს თავისი თავი მაკედონელებად მოაქვთ, მაგრამ გასაკვირველი ისაა, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცის არც ბულგარული და არც სერბიული ენა. იგინი გერმანულად, ფრანგულად ან იტალიურად ლაპარაკობენ, დაიარებიან ქალაქ-ქალაქ და დიდის საჩუქრებით იბირებენ ხალხსა. ამ აგენტებს ავსტრიის მთავრობა დიდს სასყიდელს აძლევს; ისინი ირწმუნებიან,—ჩქარა მაკედონელები ერთბაშად შეებრძოლებიან ოსმალეთსაო. ეს კიდევ არაფერი,—ხმა დაჰყარეს მაკედონელებმა მთავარ-სარდლად გენერალი დევეტი მოიწვიესო. ეს ძალად-მეამბოხენი ვენაში მოიყრიან თავსა, შეიარაღდებიან და აქედან გასწევენ მაკედონიას ხალხის მონობიდან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად კი არა, არამედ ბალკანეთზედ იმ მშვიდობიანობის შესარყევად, რომელსაც ასე მტკიცედ იცავს, რუსეთი მხოლოდ ავსტრიის გეგმას-კი არ შეესაბამება.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

მარტის 20-ს დრამატიულმა საზოგადოებამ იბსენის საიუბილეოდ წარმოადგინა ამ ავტორის დრამა „ნორა“. ფარდა რომ ასწიეს, სცენაზე დავინახეთ მხცოვანი იბსენის ბიუსტი, ყვავილოვანი დეკორაციების შუა ამართული. ბ-ნმა ვ. გუნიამ წაიკითხა იბსენის ბიოგრაფია, მის ნაწარმოებთა მოკლე განხილვით, რომელსაც აქავე ვბეჭდავთ. შემდეგ წარმოადგინეს იბსენის ცნობილი დრამა „ნორა“. წარმოდგენამ საზოგადოება არ დააკმაყოფილა. მეტი დაკვირვება და შესწავლა უნდა ამ პიესას. ნორას როლი უფრო ცოცხლად, უფრო ნამდვილად უნდა ეთამაშნა ქ-ნ ჩხეიძეს; ჩვენ ვერ ვხედავდით სცენაზე ნამდვილ, გულ-უბრყვილო ბავშვს, რომელსაც თანდათან გამოაფხიზლებს ცხოვრების უკუღმართობა. ნიჭიერმა არტისტკამ ნორას როლი ერთობ დრამატიულად ჩაატარა, და ავტორის განზრახვას ასცდა.

ქ-ნ ლეჟავასაც ქ. ლინდენის როლი უფრო დინჯად უნდა ეთამაშნა, მან წარმოგვიდგინა ბედისაგან მეტად დაჩაგრული ქალის ტიპი და ავტორის განზრახვას გადააჭარბა. ქ-ნ ლინდენი თუმცა დაჩაგრულია ბედისაგან, მაგრამ მაინც დინჯი, ცხოვრების უკუღმართობაში გაწვრთნილი ქალია.

ბ.ბ. გუნიამ სვიმონიძემ, და გედევანოვმაც ვერ დაგვაკმაყოფილეს, მკრთალად ჩაატარეს თვიანთი როლები. სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ იბსენის „ნორა“ ადვილი პიესა არ არის, მას მოქმედება; აკლია არა ჩვეულებრივი დრამაა იგი ქართული სცენისათვის.

სასამართლო

20 ამ თვეს თბილისის სასამართლო პალატამ განიხილა ქუთაისის მაზრის ს. მუხაურის მცხოვრებლის მღვდლის შვილის ანთიმოზა ყუბიანეიშვილის და სენაკის მაზრის სოფ. ჭალადიდის მცხოვრებელის პავლე, იგივე ნესტორ, კვირკველიას საქმე; ამათ ის ბრალი ედებოდათ, რომ 1900 წ. კარატაევის დუქანი გასტეხეს და 150 მან. მოიპარეს. ეს საქმე პირველად ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია და დამნაშავედ უფლებივე განსაკუთრებითი და პირადი ღირსება ახადა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა თითო წლით. პალატამ ეს განჩინება დაამტკიცა.

ამავე დღეს პალატამ გაარჩია სენაკის მაზრის სოფელ ნოსირის მცხოვრებლის სოლომონ სახოკიას საქმე. ამას ის ბრალი ედებოდა, რომ მამასახლის მიერ ჩაბარებული ტუსაღები სპირიდონის სენთუ კანდელაკები და პელაგია პუნია, რომელნიც 26 ჩაბარა აბაშის პრისტავთან წარსადგენად, გაუშვა და ამასთან პაკეტი პრისტავთან გადასაცემი დახია. ამ დანაშაულობისთვის ქუთაისის სასამართლომ სახოკიას უფლება ახადა და ექვსის თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა. პალატამ მიუსაჯა ექვსი თვით დაპატიმრება უფლება აუხდელად.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 მარტს.

სოფია. საერო ბანკში აღმოჩენილ იქმნა შესამჩნევი ბოროტ-მოქმედებანი; ფინანსთა მინისტრმა აუწყა ეს ამბავი კრებას და ითხოვდა დამნაშავეთა დათხოვნას.

ურალსკი. 20 მარტის ღამეს იშვიათი მოვლენა იხილვებოდა: ელავდა ცა და ისმოდა ქუხილი, გარშემო-კი დიდი თოვლი იდო და სამარხილე გზა იყო ყველგან.

კოვნო. სასწავლებელთა შენობის ასაგებად ქალაქი სწირავს 62,000 მანეთს.

მოსკოვი. აპრილისთვის ქალაქი ლამაზდება და იმკობა. ჩუქურთმების კეთებას ჯერ საბჭოს შენობიდან იწყებენ. სათეატრო მოედანზედ აკეთებენ მშვენიერს კარავს.

კილი. იმპერატორი დღეს დილით მობრძანდა და გაემართა იახტა „ჰოგენცოლერნში“ ჩასაბრძანებლად. იახტა საღამოზედ წავიდა კოპენჰაგენს.

პორტ-საიდი. გერმანიის კრონპრინცი და პრინცი ეიტელ ფრიდრიხი გაემართნენ სტამბოლს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ, მესამედ წაკითხვის შემდეგ შეიწყნარა, კანონპროექტი, რომლითაც ნება ეძლევა ზღვათა უწყების მთავრობას გააძლიეროს ფლოტის სათადარიგო ჯარი და მოჰკრიფოს ახალნი ჯარის კაცნი, რომელნიც ვალდებულნი იქმნებიან, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, იმსახურონ ყველგან, სადა-კი საჭირო იქნება მათი სამსახური.

ვენა. იმ კომისიამ, რომელსაც ჰქონდა მინდობილი განხილვა უნგრეთთან მორიგეობის პროექტისა, დღეს დაამთავრა საზოგადო ხასიათის კამათი. მინისტრმა კერბერმა ილაპარაკა ამ პროგრამის მნიშვნელობის შესახებ მონარქიისათვის. პანგერმანელ დეპუტატის შალკის რჩევა, რომ სადამოჟნო და სავაჭრო კავშირი შევკრათ გერმანიასთანაო, უარყოფილ იქმნა 24 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4 ხმისა.

ლონდონი. „Morning Post“-ს აუწყებენ ტანჟერიდან, რომ ფეცის გზა შეკრულია, რადგან ომია ატეხილი ბანჰასანისა და აედის ტომთა შორისაო. სხვა-და-სხვა მხრიდან მოდის ამბავი, რომ მღელვარება არა წყნარდებაო. მთავრობა უმოქმედობას იჩენს.

„Daily Telegraph“-ს აუწყებენ ადენიდან რომ იგლისის ბუნების მეტყველს ბიურის ლოლატით თავს დაესხნენ ბედუინები მარანის მთებში, ადენიდან 120 მილის მანძილზედაო. დაჭრილ იქმნა უმრავლესი ნაწილი მისის შეიარაღებულის მხლებლებისაო.

ვენა. „Politische Correspondenz“-ი ამბობს, რომ რუსთა მთავრობამ კვლავ მიჰმართა ბოლგარიას ნოტით და ამცნო, რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის მიერ განზრახული რეფორმები შეეფერება დღევანდელს საპოლიტიკო მდგომარეობასა, მაგრამ მაკედონიის კომიტეტის პროპაგანდა არა სცხრება და ეს გარემოება ხელს უშლის რეფორმების განხორციელებასაო. რამდენჯერმე გაგვიფრთხილებიხართ და, თუ მაინც ბოლგარია არ დაიშლის და ხელს შეუწყობს უწესოებას ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედ, პასუხის გებაც თქვენს ქვეყანას დაატყდება თავსაო. რუსეთის მთავრობა უცვლელად დაიცავს იმ პრინციპებს, რომელიც „Прав. Вѣст.“-ში იყო გამოცხადებულიო.

ლონდონი. Times-ი იუწყება, რომ ტანჟერში ომი ასტყდა მთავრობის ჯარის სხვადა-სხვა რაზმს შორისაო. ტახტის მაძიებელი დაბრუნდა ტაზუს, სადაც დაიბანაკა. საქმის ვითარება უფრო სამძიმო შეიქმნა.

სტამბოლი. სამის დღის წინად მომხდარმა ომმა ალბანელებსა და ძთავრობის ჯარს შორის მიტროვიცასთან და რუსეთის კონსულის დაჭრამ აქაური მთავრობა მეტად დააფიქრა. 16 ბატალიონმა სათადარიგო ჯარისამ სმირნის ვილაიეტში ბრძანება მიიღო სალონიკს გაემგზავროს.

ლონდონი. სახელმწიფო შემოსავალი ბრიტანიის სამეფოსი 18 მარტიდგან 1902 წლისა იყო 161.199,780 გირვანქა სტერლინგი, 152.601,637 გირვანქით მეტი წარსულის წლისაზედ.

21 მარტი.

რომი. „Capitale„ იუწყება: ოფიციალური ცნობებია მიღებულიო, რომ ინგლისის მეფე აპრილში რომში აპირებსო.

პარიჟი. საფრანგეთის აკადემიამ პროფესორ რუს, რომელიც პასტერის ინსტიტუტის ხელმძღვანელია, მიუსაჯა 100,000 ფრაკნი პრემია, ეს პრემია ბანკირმა ოზიემ დაარსა, მის დასაჯილდოებლათ ვინც წარსულ სამ წლის განმავლობაში საუკეთესო რამე მოიგონა მეცნიერებაში.

სტამბოლი. იტალიის ელჩმა ინახულა დიდი ვეზირი და დიდხანს ესაუბრა, რომ რეფორმები მალე იქმნას შემოღებული. ჰფიქრობენ რომ ხიდი შიდა ორგანიზაციის წევრებმა ააფეთქესო. ამასთან ცხადია რომ დინამიტით მკვლელობის განზრახვა ჩერკუზ-ბეისთან ამათვე ჩაიდინეს. ამ შემთხვევამ დიდი აღელვება გამოიწვია აქ, პორტა ამი შესახებ არაფერ საშუალებას არ მიმართავს, რადგან სახელმწიფოები ურჩევენ, რომ მან მავნებელ და ხალხის ამაღელვებელ საშუალებას თავი ანებოს.

რომი. მეფისა და დედოფლის დასწრებით დღეს გაიხსნა საერთაშორისო კოგრესი.

სტამბოლი. დღეს დიდი ვეზირი ფერიდფაშა და გარეშე სამინისტროს საქმეთა მდივანი ნურ-ბეი რუსეთის საელჩოში წავიდნენ და ელჩს ზინოვიევს სულთანის სახელით მწუხარება გამოუცხადეს მიტროვიცის მომხდარ საქმეების და რუსეთის კონსულის დაჭრის შესახებ. ამასთან ელჩს გამოუცხადეს რომ ბოროტმოქმედნი და მათი მომხრენი დასჯილნი იქნებიანო და სულთანმა ბრძანება გასცა რომ ყოველღონისძიება იხმარეთ რომ წესიერება აღდგენილი იქნესო, როგორც ეტყობა ამ შემთხვევამ პორტაზედ დიდი შთაბეჭდილება იქონია. უმაღლესმა სამხედრო კომისიამ დაადგინა მიენდოს შემსი ფაშას ალბანელების საწინააღმდეგოთ ენერგიული ზომები მიიღოს.

პეტერბურგი. სამხედრო სამინისტროს უფროსი ინტენდანტისა თანაშემწე გენერალლეიტენანტი როეტკოვსკი დაინიშნა უმაღლეს საინტენდატო სამმართველოს უფროსად და სამხედრო სამინისტროს უფროს ინტენდანტათ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაბანამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

29 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. დავით ბიერდულისა და ვასილ ბურდულის დავა.
2. პორფირე აბესაძესი და პავლე ფუტკარაძის დავა.
3. პორფირე პატარაია.ა და მიხაილოვის სათავად აზნაურო ბანკის მმართველობის დავა.
4. ნიკოლოზ კიკნაძისა და კონსტანტინე ყიფიანის დავა.
5. ბეგლარ და ვასილ ჟვანიათა და პავლე თათარაშვილის დავა.
6. სვიმონ ზარანდიასა და კატოტია ცხონდიას დავა.
7. დარია და ნიკოლოზ გუგუნავათა დავა.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ“

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინის ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე.

(12—ნ.—9)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

გამგეობა აცხადებს, რომ ჰნიშნავს

სამს პრემიას

300 მან., 200 მან. და 100 მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოების დასაჯილდოებლად.

პრემიის პირობა შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზედ დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილი იქნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება 30 სექტემბერს 1903 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (5—უ—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

„ШЯРКЫ РУСЪ“

(Русскій Востокъ).

„ШЯРКЫ РУСЪ“ будетъ выходить на азербайджанскомъ языкѣ въ Тифлисѣ съ 30-го марта 1903 г. по слѣдующей программѣ: I. Правительственныя распоряженія. II. Телеграммы „Россійскаго телеграфнаго агентства“ и собственныхъ корреспондентовъ. III. Хроника мѣстной жизни и свѣдѣнія о внутренней жизни Кавказскаго края. IV. Внутреннія извѣстія и иностранное обозрѣніе. V. Экономическій и торговій отдѣлъ. VI. Фельетонъ (научно-литературный). VII. Судебный отдѣлъ. VIII. Смѣсь. IX. Справочный отдѣлъ. X. Объявленія. „Шяркы Русъ“ будетъ выходить по воскресеньямъ, средамъ и пятницамъ. О выходѣ прибавленій на русскомъ и персидскомъ языкахъ будетъ объявлено особо.

Подписная цѣна до конца 1903 года: съ доставкой въ Тифлисѣ 5 руб., на 6 мѣс. 4 р.; съ пересылкой иногороднимъ до конца года 6 р., на 6 мѣс. 5 р., за границу до конца года 9 р. Подписка принимается въ конторѣ изданія, Тифлисъ, Орбеліановская ул., № 12.

(3—1) Редакторъ-издатель **Махаммедъ Шахтахтинскій.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.